ფეხბურთი

ახლა, როცა საქმე მიდგა უკანასკნელ, გადამწყვეტ ქულებზე, ლიდერები ყოველ ახალ თამაშში ორ ქულას იმატებენ. ბრწყინვალე სტილით, დიდი ანგარიშით იგებენ მატჩებს დედაქალაქის გუნდები "დინამო" და ცდკა. ჩემპიონობის საკითხს ტურნირის ბოლო დღე, მათი შეხვედრა გადაწყვეტს. ამ გუნდებმა შეძლეს "უვნებლად" შეენარჩუნებინათ რეზერვები და ისევე ძლიერად თამაშობენ, როგორც დასაწყისში. სხვაგვარად წარიმართა თბილისის "დინამოს" საქმე. გუნდს აკლია ძირითადი მოთამაშეები, ამიტომ გადამწყვეტი მატჩები დინამოელებმა სუსტად ჩაიტარეს.

18 სექტემბერს მატჩი დაიწყო თბილისელთა მძაფრი შეტევით, ბურთი განუწყვეტლად მოსკოვის "ტორპედოს" საჯარიმო მოედანზე ტრიალებდა, მაგრამ ამას შედეგი არ მოჰყოლია: ზაზროშვილი ვერ ამყარებს კავშირს თავდასხმასთან, ხოლო ხურციძე, ვერ "ამარაგებს" სათანადოდ თავდამსხმელებს მოსკოველები თანდათან ათანაბრებენ თამაშს და გადადიან კონტრშეტევაზე, რომლის დროს გუნდს ნათლად დაეტყო ძიაპშპას არყოფნა. "ტორპედომ" პირველი ბურთი 25–ე წუთზე გაიტანა, 10 წუთის შემდეგ კი მას ფარზე უკვე "4" ეწერა. სტუმრებმა ერთი გოლი გაქვითეს, მაგრამ პირველი ტაიმის დამთავრებამდე რამდენიმე წუთით ადრე სოჩნევმა ანგარიში ხუთამდე აიყვანა. მეორე ნახევრის დაწყებისთანავე "დინამომ" მეორე ბურთი გაახვია მოწინააღმდეგის ბადეში. მოსკოველებმა კიდევ ერთი, მეექვსე, ბურთს გატანა შესძლეს.

მატჩი მოიგეს მოსკოველებმა, ანგარიშით 6:2.

გუშინ თბილისის "დინამომ" ჩაატარა უკანასკნელი მატჩი. იგი შეხვდა სტალინგრადის "ტორპედოს". მატჩი დამთავრდა უშედეგოდ (0:0) ამრიგად, დინამოელებმა დააგროვეს 33 ქულა და გათამაშებაში მეოთხე ადგილი დაიკავეს.

ახ. კომუნისტი 22 სექტემბერი 1948 წ.